დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

სტუდენტის ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი ,, უმაღლესი განათლების შესახებ", ,,პროფესიული განათლების შესახებ", საჯარო სამართლის იურიდიული პირის სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდება.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე (შემდეგში ,,სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი") და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:

ა) ნებისმიერი პირი, რომელიც სხვადასხვა საფეხურზე იღებს განათლებას უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, პროფესიული განათლების, მაგისტრატურის პროგრამის, ასევე გადის მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებს.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები

1.უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.

2. სტუდენტი იზიარებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

3. სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის, როგორც მხარის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 4. სტუდენტთა ეთიკის წესები

ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

მუხლი 5. სტუდენტთა ეთიკის საერთო წესები

1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

ბ) მოწევა საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

დ) აზარტული თამაშები;

ე)ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ზ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.

თ) ბილწსიტყვაობა.

ი) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

კ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა და/ან გავრცელება;

ლ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

მ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის.

2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე.

3. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტის ბილეთი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გამოცდაზე, არჩევნებზე.

მუხლი 6. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები

1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე:
ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის, პროფესიული მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა.

გ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

ზ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; ან საბაკალავრო/სადისერტაციო/სამაგისტრო თეზისის ყიდვა.

თ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;

ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება; კ)კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;

ლ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა.

მ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება.

ნ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;

მუხლი 7. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირი

ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ და/ან პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, მასწავლებელს, პროფესიულ მასწავლებელს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესაძლებელი სანქციები

1.ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დაღვევისათვის:

ა) სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება;

ბ) სტუდენტმა შეიძლება მიიღოს წერილობითი გაფრთხილება

გ) სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 9. პასუხისმგებლობის ზომები

1. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ზოგიერთი ქვეპუნქტით მითითებული წესების სისტემატური დარღვევისათვის სტუდენტს შეუჩერდება/შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

2. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ,, ი, კ, ლ „ ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში, ასევე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სხვა დასჯადი ქმედების ჩადენისას, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

3. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ქვეპუნქტების დარღვევის დამტკიცების შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა პირველ შემთხვევაში ზეპირი გაფრთხილება, მეორე შემთხვევაში კი წერილობითი გაფრთხილება, განმეორებით 3 ან მეტი შემთხვევის გამო სტუდენტს შესაძლოა შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 10. დისციპლინური კომისია

1. იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ეთიკის კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების ნებისმიერი ქვეპუნქტის დამრღვევ სტუდენტს, წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

2. იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ეთიკის კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების ნებისმიერი ქვეპუნქტის დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს, წყვეტს ილი კომისია, რომელიც შეიქმნება ადმინისტრაციული აქტით.

3. ეთიკის კოდესის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს ფაკულტეტის საბჭოზე/ კომისიის წინაშე.

3. ფაკულტეტის საბჭოზე/კომისიის წინაშე სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება.

5. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

6.ფაკულტეტის საბჭო/კომისია საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს რექტორს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

მუხლი 11. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ .